დანართი 1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
აცხადებს კონკურსს

ქ.თბილისში, ზანდუკელის ქ.№16-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე კვების ობიექტის მოწყობის მიზნით.

1.

საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა	1 კვ.მ- 15 ლარი დღგ-ს გარეშე;
„ბე”	200 ლარი;
იჯარის ვადა	2 წელი
მისამართი	ზანდუკელის ქ. №16
იჯარით გასაცემი ფართი	სტუდენტების კაფეტერიაში არსებული სამზარეულო – 20,.45კვ.მ
განაცხადების მიღების ადგილი	ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №3 თსუ IIკორპ. II სართული ტ.: 22-23-92 იურიდიული დეპარტამენტი;
განაცხადების მიღების ვადა	ა/წ 02 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით 14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა)
კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი)	2010 წლის 23 ივნისს 17.00 საათი
საბანკო რეკვიზიტები	კ/ბ „რესპუბლიკა ა/ა №345634 ბანკის კოდი 220101757 ს/კ 204864548
შენიშვნა	კონკურსში მონაწილის მიერ, კონვერტში წარმოდგენილი უნდა იქნას კონკრეტულად დაფიქსირებული თვიური საიჯარო ქირა; დეტალური მენიუ სტუდენტებისთვის;

დამატებითი ინფორმაცია

სამზარეულომ უნდა გაუწიოს შემდეგი მომსახურეობა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას:

- სტუდენტების კომპლექსური კვება

- კაფეტერიაში მომსახურება სტუდენტებისთვის, თანამშრომლებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის.
- ქეითერინგული მომსახურეობა კონფერენციებისთვის, მრგვალი მაგიდებისთვის და სხვადასხვა შეხვედრებისათვის, რომლებიც ტარდება ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში.

  სტუდენტების კაფეტერია მდებარეობს შენობის პირველ სართულზე. კაფეტერიამ უნდა მოემსახუროს მხოლოდ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სტუდენტებს, თანამშრომლებს, პროფესორ-მასწავლებლებს და სხვადასხვა სემინარებისა და კონფერენციის ვიზიტორებს. კაფეტერიამ უნდა იმუშაოდ დილის 10:00სთ-დან საღამოს 21:00 სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა.
- სწავლა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში იწყება სექტემბრის თვეში და გრძელდება ივნისის ბოლომდე, დილის 9:00 სთ-დან საღამოს 18:00 სთ-მდე. ცალკეული მეცადინეობა ტარდება დამატებით საღამოსაც. გამონაკლის შემთხვევებში მეცადინეობები და გამოცდები ტარდება შაბათ-კვირასაც.
- სკოლაში სწავლობს 120 სტუდენტი (სრული განაკვეთით), მუშაობს 30 თანამშრომელი და პროფესორ-მასწავლებელი. დამატებით მეცადინეობა ჩაუტარდებათ სტუდენტებს (ნახევარი განაკვეთით) საღამოობით 18:00-დან 22:00-სთ.მდე. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას აქვს საკონფერენციო დარბაზი, რომელიც იტევს 100 ადამიანს და ამ დარბაზში რეგულარულად ტარდება სემინარები და კონფერენციები.

ფართის აღწერა

- ადგილმდებარეობა: პირველი სართული, შემოსასვლელი შენობის ცენტრალური კარიდან (მეორე სართული). სამზარეულოს ესაზღვრება სტუდენტური კაფეტერია, რომელიც აღჭურვილია მაგიდებით და სკამებით 60 ადამიანისათვის (20 ადამიანისათვის ეზოში).
- მდგომარეობა: გარემონტდა 2007 წლის დეკემბერში.
- აღჭურვილობა: სამზარეულო აღჭურვილია ჭურჭლის სარეცხი მანქანით, მაცივრით, ღუმელით და სხვა საჭირო დანადგარებით. სამზარეულოს ფართში შედის ჭურჭლის სამრეცხაო (5.69 კვ.მ)
- კომუნიკაციები: კანალიზაციის სისტება, გაზი, ელექტროობა და წყალი; ვენტილაციის სისტემა არსებობს, რომელიც საჭიროებს გამწოვი მილის დამონტაჟებას.

კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია შეირჩეს ის იურიდიული (ფიზიკური) პირი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სტუდენტების,

თანამშრომლების, პროფესორ-მასწავლებლების და ვიზიტორების საკვებით მომსახურებას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

- საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს და უცხო ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

საკონკურსო პირობებია:

- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის თანხის ოდენობის გადახდა ყოველთვიურად;
- კვებითი მომსახურეობა;
- იჯარით გასაცემ ობიექტებში შესაბამისი სტანდარტების კვების ბლოკების მოწყობა; ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და ეკოლოგიურ მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.
- ყოველთვიურ იჯარის გადასახადთან ერთად კომუნალური ხარჯების (ელექტროობა, გაზი, წყალი) დაფარვა. მოიჯარე ვალდებულია დარეგისტრირდეს დამოუკიდებელ აბონენტად თელასში..
- შეთანხმება სამუშაო საათებზე და ბიზნეს ლანჩის მენიუზე, რომელიც წარმოდგენილი იქნება სტუდენტების კაფეტერიისათვის ხდება ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მენეჯმენტთან.

განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებია:

ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული ფართის კონკრეტული იურიდიული (ფიზიკური) პირისათვის გადაცემა შემდეგია:

- საიჯარო ქირის დასახელება (არანაკლები საწყისი ტარიფისა);
- მომსახურების ხარისხი (სამუშაო საათები, ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება);
- დაინტერესებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს მენიუს დეტალური ჩამონათვალი ფასის მითითებით;

<u>**შენიშვნა:**</u> დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება)
დაუშვებელია ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის შემოტანა რეალიზაციის მიზნით;

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების მიმღებს უფლება არა აქვს მიღებული ქონება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უნივერსიტეტთან და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან შეუთანხმებლად სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის გააქირაოს, იჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) ან სხვაგვარად დატვირთოს, არამიზნობრივად გამოიყენოს იგი. ამასთან მოიჯარე პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის.

მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია ყოველ 6 თვეში ერთხელ ან/და მოთხოვნისთანავე წარუდგინოს უნივერსიტეტს.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფართის მიმღებ პირს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

- ქირის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში – ქირის 0.9% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- სხვა საკონკურსო ან/და სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მიიჩნევა ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარის ოდენობა, იჯარით გასაცემი ობიექტის დასახელება, საქმიანობის დაწყების თარიღი და თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. სტუდენტების კაფეტერიის მენიუ დეტალური აღწერით: 5 ვარიანტი კვირის ყველა დღისათვის, შემადგენლობის, რაოდენობის და ფასების ჩამონათვალით.
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში).
5. ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
6. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიალურად დამოწმებულ ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბოლო მდგომარეობით).
7. მონაწილის წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ, წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით, დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება);

მიმღები: **კ/ბ „რესპუბლიკა ა/ა №345634 ბანკის კოდი 220101757 ს/კ 204864548**; „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

- „მოიჯარე”-ს მიერ გადახდილი „ბე” ჩაითვლება საიჯარო გადასახადში.
- კონკურსში გამარჯვებულ პირთან საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდება 10 დღის ვადაში.